# ცნობის ფურცელი

IV წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ორშაბათი, 20 დეკემბერი 1899 წ. № 993.

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის„ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტირუზოვისა.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა. 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

ტელეფონი № 372 — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели“—„Моамбе“



# 1900 წ.

## „მოამბე“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში | 13 მ. | 7 მ. | 5 მ, |

## „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| | 1 წლით | 1 თვით |
|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 6 მან. | 75 კაპ. |
| სამზღვარ გარეთის ქალაქებში | 7 მან, | 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

„მოამბე“: პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

„ცნობის ფურცელი“: პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც ორივე გამოცემას ერთად გამოიწერს შეღავათი მიეცემა**

**ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება ვათა შორის შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.**

**გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.


# ახალი ამბავი

✦ გუშინ წინ ტფილისის პოლიცმეისტერი და საგანგებო მინდობილებათა მოხელე ტფ. გუბერნატორთან ურიგებდნენ ტფილისის **ღარიბ მცხოვრებთ** მთავარმართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის მიერ შეწირულს ფულს.

✦ საერო განათლების სამინისტროში, გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად ადგენენ პროექტს ამიერ კავკასიაში **საშუალო სასწავლებელთა** რიცხვის მომატებისას.

✦ **გუშინწინდელ კონცერტიდან**, რომლის ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ, როგორც გადმოგვცეს, წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ 1000 მანეთამდე დარჩება.

✦ სამშაბათს, 21-ს დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების **მეორე** კრება **აბრეშუმის გრენის შემოწმების შესახებ.** ამ საგნის შესახებ, 17 დეკემბერს მომხდარ კრებაზე, ზემოხსენებულ საზოგადოებამ მოისმინა კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მმართველის მიერ შედგენილი პროექტი და ბ-ნ ი. ალიგოვის მოხსენება ამ პროექტის შესახებ. ორივე ეს მოხსენება განხილულ იქნება სამშაბათს.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ დრანდაში (სოხუმიდან 17 ვერსზეა) არსდება **მეაბრეშუმეთა ამხანაგობა**, რომელსაც სახელად „აბრეშუმი“ ერქმევა. წესდება უკვე შეუმუშავებიათ და გაუგზავნიათ მთავრობასთან დასამტკიცებლად. საამხანაგო წილის ფული თითო თუმანი იქნება.

✦ კავკასიის საბალოსნო საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარემ აუწყა სამეურნეო საზოგადოებას, რომ ამ მოკლე დროში მოხდება ქ. ნუხაში, ნახჩევანში, შუშაში და დ. გეოქჩაიში **მეაბრეშუმეთა კრებები**, რომლებზედაც სასურველია დაესწროს სამეურნეო **საზოგადოების წარმომადგენელიო.** საზოგადოებამ დაადგინა გაგზავნოს თავის წარმომადგენელი ზემოხსენებულ კრებაზე დასასწრებლად.

✦ 13 დეკემბერს ქუთაისიდან სოხუმს წავიდა ქუთაისის ოლქის **სასამართლოს სესსია**, რომელიც დარჩება 18 დეკემბრამდე. ამ სესიაში გასარჩევად წვრილი საქმეებია დანიშნული. დიდი საქმეები მომავალ იანვრის სესიისათვის არის გადადებული.

✦ როგორც გავიგეთ, ნიჭიერი მომღერალი ქალი კ-ნა კ. ფ. **გურამიშვილისა** აპირებს დიდ მარხვაში კონცერტის გამართვას.

✦ გუშინ, 19 დეკემბერს, 1 საათზე და 45 წამზე, ტფილისში სუსტი **მიწის ძვრა** იყო. მიწა იძვროდა 4—5 წამს. რამდენიმე საათის შემდეგ მიწა ისევ ინძრა

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოხუმში საშინელის ზღვის **ღელვის გამო** გემების მისვლა-მოსვლა მთელის კვირით შეწყვეტილა. უკანასკნელი რუსეთში მიმავალი გემი „რუსის საზოგადოებისა“ „ოლგა“ სოხუმიდან გასულა კვირას, 5 დეკემბერს. სოხუმიდან გასვლისათანავე საშინელს ღელვას მოუსწრია, ამოვარდნილა ჩრდილოეთის ქარი და გემი ოსმალეთისაკენ გაუტაცნია. მთელის ექვსის დღის განმავლობაში გემს უგზო-უკვლოდ დაუქანებდნენ აბობოქრებულის ზღვის ტალღები. მეშვიდე დღეზე გემი ოსმალეთის ქალაქ სინოპში გასულა. ამ გემზე სოხუმში, სხვათა შორის, ჩაჯდა კოწია დადიშკელიანი, რომელმაც ზემოხსენებულ ქალაქიდან 13 დეკემბერს თავისს ნაცნობებს მშვიდობით გადარჩენის ტელეგრამა გამოუგზავნა.—ამ ჟამად ზღვა დაწყნარებულია, და გემებმა მისვლა-მოსვლა ისევ განაახლეს. ოდესის ნავსადგური გაუყინავს და გემები შიგ აღარ შედიან თურმე.

✦ მთავარმართებლის საბჭოს, გაზ „ტფ. ფურცლის“ სიტყვით, გარდაუწყვეტია საერობო საშუალებიდან **დახმარება** აღმოუჩინოს **სასოფლო სკოლებს** ტფილისის გუბერნიაში —13,500 მან. და ქუთაისისაში—14,100 მან.

✦ ჩვენ მოგვივიდა **ორი წიგნაკი** ფრინველის მოშენების საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან გამოცემული: 1) „ქათმის ჭირი და მასთან ბრძოლა“ და 2) „პრაქტიკული დარიგება ქათმის აღზრდაზე“. ორივე წიგნაკი შედგენილია ნ. მკურნალის მიერ.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 დეკემბერი.

**ვენა.** „ნევე ფრეი პრეს“-ში 6 დეკემბერს დაბეჭდილი იყო შენიშვნა იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია გრაფ გოლუხოვსკიმ რუსეთისა და სერბიის შორის ურთიერთობაზე. რადგანაც ამ შენიშვნიდან შემცდარი აზრი დასკვნეს „ნოვოე ვრემია“მ და „ს.-პეტერბ. ვედომოსტ“-მა. ამიტომ „ნევე ფრეიპრესმა“ უარჰყო წინანდელი თავისი შენიშვნა და ამასთანავე გამოაცხადა, რომ შენიშვნის ცნობები კერძო წყაროებიდან იყო მიღებული და არა მთავრობის წარმომადგენლებიდან. შემდეგ „ნოვოე ვრემია“ს საპასუხოდ გაზეთი ამბობს: „ჩვენის აზრით პეტერბურგის კაბინეტის და სერბიის მთავრობის ურთიერთობა სრულიად არ ეწინააღმდეგება შეთანხმებას, რომელიც არსებობს ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთს შორის; დანიშნავს თუ არა რუსეთი ელჩს სერბიაში—ეს გარემოება ვერ შესცვლის ავსტრიასა და რუსეთის განწყობილებას. საზოგადოთ ჯერ არ მომხდარა ისეთი არაფერი, რასაც შეეძლოს გაამართლოს „ნოვოე ვრემია“ს დასკვნა. როგორც რუსეთი, ისე ავსტრ-უნგრეთი არ ერევიან ბალკანეთის სახელმწიფოთა შინაურს საქმეებში. სერბიის მეფის ვენაში მობრძანების შესახებ „ნევე ფრეი პრესსი“ ამბობს: ავსტრ-უნგრეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა მიმდინარეობს ერთხელ და მტკიცედ აღნიშნულს კალაპოტში. ეს პოლიტიკა არ შეიცვლება მხოლოდ იმიტომ, რომ სერბიის მეფე თავაზიანობისა გამო ვენაში მობრძანდა.

**ბერლინი.** „ჰამბურგერ ნაჰრიჰტენ“ აცხადებს, რომ სრულიად სიცრუე არის გაზ. „ნევეს ვიინერტაგებლატის“ ცნობა, ვითომც ბისმარკის მემუარების გაგრძელება იბეჭდებოდესო.

**ფოლქსტონი.** დუნგენესის ახლო გუშინ საღამოს დაიღუპა გერმანიის საფოსტო გემი

**ლონდონი.** დუნგენესიდან დეპეშით იუწყებიან, რომ დაიღუპა გემი ჰამბურგის სამხრეთ-ამერიკის საზოგადოებისა, რომელიც 25 ნოემბერს გამოვიდა სანტოსიდან ჰამბურგისაკენ. მგზავრები გადარჩნენ.

**ნიუ-იორკი.** ქალაქის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს სურვილს, რომ სამხრეთ აფრიკის ომი დასრულდეს ბურების სასარგებლოდ და რომელშიაც ჰკიცხავს ფილიპინელებთან ომს.

**კალკუტა.** ქაშმირის, კისორეს და იოჯპურის მმართველებმა ინგლისის მთავრობას წინადადება მისცეს—შეგეწევით ჯარებით და ცხენებითაო. იოჯპურმა ინგლისს გადასცა ყველა თავისი ცხენები. მთავრობამ გადასწყვიტა ყველა მმართველებს გამოართვას რამოდენიმე ცხენი.

**ამსტერდამი.** გაზეთ „ალგმეინე ჰანდბელს ბლადის“ წარმომადგენელს ულაპარაკნია ბურების ელჩთან ლეიდსთან. უკანასკნელს უთქვამს, რომ ხმა, ვითომც დელაგოას ნავთ-სადგურში ბურებისთვის თოფ-იარაღი მოეტანოთ, სიცრუვეა. ეს ხმა ინგლისელებმა იმიტომ დააგდეს, რომ დელაგოას დასაკუთრება უნდათო. „ტრანსვაალს,—სთქვა მან,—საკმარისად აქვს თოფ-იარაღი; ჯარისათვის საჭირო ტან-საცმელს ტრანსვაალი თვითონ ამზადებს, ხოლო სურსათი ორ წელიწადსაც გვეყოფაო“. რაც შეეხება „დაილი მალის“ ცნობას, ვითომ 9 დეკემბერს ლეიდსმა ინახულა დელკასე, ესეც სიცრუე გამოდვა. „ამ დღეს, სთქვა ლეიდსმა, მე ინფლუენცით ვიყავი ავად და ვიწექიო“.

**ჰამბურგი.** აქ ცნობა მოვიდა, რომ გერმანიის საფოსტო გემი დელაგოას ნავთ-სადგურის შესავალში დაუჭერიათ ინგლისელთ და წაუყვანიათ დურბანს. ადგილობრივმა კომენდანტმა არ მოისურვა გამოემჟღავნებინა მიზეზი გემის დაჭერისა. ამბობენ, რომ გემზე არავითარი სამხედრო კონტრაბანდი არ ყოფილა. გერმანიის მთავრობის თხოვნა, რომ ინგლისის მთავრობას დახმარება აღმოეჩინა გერმანიის გემისათვის, ინგლისმა შეიწყნარა.

**ლონდონი.** კონაუტის ჰერცოგი დაინიშნა რობერტსის მაგიერ ირლანდიაში მდგომ ჯარების მთავარ სარდლად.

**ლორენცო-მარკეზი.** პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ 14 დეკემბერს მეფკინგის სიმაგრიდან გამოვიდა ჯარი და შეებრძოლა ბურებს; ინგლისის მხრით მოკლული და დაჭრილია 109 კაცი, ბურების მხრით-კი მხოლოდ ორია მოკლული და 7 დაჭრილი.

**ბერლინი.** „ლოკალანცეიგერში“ დაბეჭდილია პარიზის გაზეთის „ტან“-ის დეპეშა, რომელიც ამბობს: ინგლისის სამხედრო სამინისტროს მოუვიდა საიდუმლო ცნობა იმის შესახებ, რომ კაპლანდში 50,000 აფრიკანდერი აჯანყებულა. დე-აარში ბურები მეტად ავიწროებენ გენერლებს ფრენჩს და გატეკრს. მოდერ-რივერზე ახლად მომხდარმა ბრძოლამ იძულებულ ჰყო მეტუენი სამხრეთისაკენ დაწეულიყო.ბულლერმა პიტერმარიცბურგისკენ დაიწია. ლედისმიტის მდგომარეობა მეტად უნუგეშოა

**კოლომბო.** ცეილონიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის ნებართვით იქ სდგება ცხენოსან მეომართა ჯარი, რომელიც ტრანსვაალს წავა ინგლისის საშველად.

**სიმბირსკი.** საქონლის მატარებელი სადგურ ბაზარნაიაზე დაეჯახა ლოკომოტივს. 6 ვაგონი დაიმტვრა. დაჭრილნი არიან მაშინისტის თანაშემწე და კონდუქტორი.

19 დეკემბერი

**ვაშინგტონი.** მოკლე ხანში შეერთებული შტატები, ტრანსვაალის თანხმობით, გაგზავნიან აფიცერს, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ბურების ჯარების მოძრაობას.

**ბრიუსელი.** იუწყებიან, რომ მეფის ავადმყოფობის გამო ახალწელიწადს სასახლეში არავის მიიღებენ. მეფეს სტკივა ფეხი, რომელიც შარშან იღრძო.

**ვენა,** იუწყებიან, რომ ახალი სამინისტრო, რომელიც შესცვლის ვიტეკის სამინისტროს, შესდგება ნაახალწლევს. მომავალ სამინისტროს პრეზიდენტად საპარლამენტო წრეებში ასახელებენ შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფს კენბერგს.

**ლონდონი.** როგორც ისმის, გერმანიის გემზე „ბუნდესრათ“-ზე სამი გერმანელი ოფიცერი და ოცი ჯარის-კაცი ყოფილა, რომელთაც განუზრახავა ბურების ჯარებში სამსახური. ოფიცმალური დეპეშით იუწყებიან, რომ გემი „ბუნდესრათი“ დაჭერილი იქნება, სანამ დურბანის სასამართლო გაარჩევს საქმეს; ფიქრობენ, რომ ბრიტანიის მოხელენი წარუდგენენ სასამართლოს საბუთებს, რომელნიც სრულიად გაამართლებენ მათს მოქმედებას. გარდა ამისა ოფიციმლურად იუწყებიან, რომ ბრიტანიის მთავრობას სურვილი აქვს რაც შეიძლება ნაკლებად იქმნას შევიწროებული სავაჭრო გემების მიმოსვლა აღმოსავლეთ აფრიკის წყლებში.

**ვენა.** სერბიის მეფე ნაშუადღევს ვიზიტად იყო ერც-ჰერცოგ ფრანც-ფერდინანთან; შემდეგ ფინანსთა მინისტრთან კალაისთან. უკანასკნელთან მეფემ დაჰყო თითქმის ერთი საათი. საღამოს ექვსს საათზე მეფე მიპატიჟებულ იქმნა იმპერატორის მიერ სადილზედ.

**პარიჟი.** უმაღლესი სასამართლო. კამათი შეუწყვეტლივ სწარმოებს. დერულედი ბარილიეს სასარგებლოდ ლაპარაკობს და არკვევს პლებისციტალურ მოძღვრებას.

**კაპშტადტი.** 16 დეკემბერს, საღამოს, ბრიტანიის ჯარების ბანაკს ვესტაში თავს დაესხნენ ბურები; ასტყდა საშინელი ბრძოლა; ბურებს როგორც ჰფიქრობენ, განზრახვა ჰქონდათ გზა გაეფუჭებინათ.

**პრეტორია.** მამონოტრისთან შეპყრობილნი სამი ინგლისელი იტყობინებიან, რომ ბრძოლაში მოკლულ იქმნა ერთი შტაბის აფიცერი; ლორდი ედუარდ სესილი, ლორდი სალისბერის შვილი, და ლორდი ჩარლზ კავენდიში დაჭრილნი არიან. ინგლისელებმა ბევრი მეომრები დაკარგეს.

თანხმად საერობო საკრებულოს დადგენილებისა მთავრობის და დინამიტის საზოგადოების შუა წარსულ ხუთშაბათს დამტკიცებულ იქმნა ახალი ხელშეკრულება; დინამიტის ფასი დაკლებულია.

დრ. რედაქტ. **ალ. ჭყონია.**

## გამოსადეგი ცნობანი

### საკალენდარო ცნობები

**ოთხშაბათი,** 20 დეკემბერი. მე-354 დღე 1899 წლისა; ამ წლის დასრულებამდე დარჩა 11 დღე. მთვარე იბადება. მე-36 დღე შობის მარხვისა. ხსენება წმ. მოწამისა ეგნატე ღმერთ-შემოსილისა. სომეხთა კალენდარი: წმ. მამამთავრის ეგნატესი და სხვ.. კათოლიკეთა კალენდარი: წმ. თეოფილესი და ლიბერატისა. მაჰმადიანთ კალენდარი: დუშანბე, მე-29 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1317 წ. ჰიჯრისა.

**სამშაბათი,** 21 დეკემბერი. 1899 წ. მე-355 დღე; წლის დასრულებამდე დარჩა 10 დღე. მე-2 დღე მთვარისა. მე-37 დღე შობის მარხვისა. ხსენება ქალწულ მოწამისა იულიანისა, წმ. პეტრესი. პროკოპისა და თეოფანესი. სომეხთ კალენდარი: ხსენება სომეხთ წმ. მეფისა აბგარისა. კათოლიკეთა კალენდარი: მოციქულისა თომასი და ნაზარიას ხსენება. მაჰმადიანთა კალენდარი: სეშანბე, პირველი რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1317 წ. ჰიჯრისა.

შემდეგი უქმე დღე: 25 დეკემბერს, შაბათს, შობა იესოქრისტესი.

### ნიხრი

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —7½ კ. |
| სუკი . . . . . | 1 „ | —12 კ. |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 კ. |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 კ. |
| „ ღორისა . . | „ „ | — 5 კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. | 1 „ | — 9 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | 3½ |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| იგივე თონისა | I | „ „ | 5 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | 3½ „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

### ტფილისის ბაზრები

| გაიყიდა: | | მეიდნებზე | | ვოკზა[illegible] | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | |
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 30 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 90 | — | 86 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 75 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 30 | — | — |
| „ უცხო მდარე | 1 | 1 | 20 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 65 | — | — |
| ხახვი. . . . . . | 1 | — | 40კ. | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ , შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი 3 თათრული 80 კ .-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 26 მ.-დამ 36 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, —მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 35 კამეჩი შესაბმელი —

### რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | | ხარისხი. | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 | კ. | № 4—7 | „ 25 | „ |
| № 1—8 | „ 50 | „ | № 5—7 | „ — | „ |
| № 2—8 | „ — | „ | № 6—6 | „ 75 | „ |
| № 3—7 | „ 50 | „ | № 7—6 | „ 25 | „ |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 მ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე. მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ—4 მ. 50 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60-მდე.

გამომცემელი გალ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Декабря, 1899 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ისა. დიდი ვანქის ქუჩა, № 27